სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #06-26; 17.07.2026

პოსტდოქტორანტურის დებულება

თბილისი

2026

პოსტდოქტორანტურის დებულება

პოსტდოქტორანტურის დებულება განსაზღვრავს სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი") პოსტდოქტორანტად (მიღების) დასაქმების წესსა და საქმიანობის პირობებს.

მუხლი 1. პოსტდოქტორანტურის მიზნები

პოსტდოქტორანტურის მიზნებია:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მფლობელი მეცნიერის მხარდაჭერა მისი უნივერსიტეტისათვის აქტუალური კვლევის განხორციელებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვის გზით;

ბ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების მხარდაჭერა და განვითარება;

გ) ინოვაციების გამოვლენისა და სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

დ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელ პირებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა.

მუხლი 2. პოსტდოქტორანტად დასაქმების პროცედურა

1. პოსტდოქტორანტად უნივერსიტეტში პირი შეიძლება დასაქმდეს კანდიდატის კონკურსის წესით არჩევის გზით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საფუძველზე და მის განსახორციელებლად.

2. კონკურსის დამატებით პირობებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო, კონკურსს აცხადებს და პირის პოსტდოქტორანტად მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი სადოქტორო სკოლის წარდგინების საფუძველზე.

3. პოსტდოქტორანტად მიღება ცხადდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე რექტორის ბრძანებით.

4. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება კონკურსში მონაწილეობის პირობები და საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტისადმი წაყენებული დამატებითი მოთხოვნები, საკონკურსო ვადები, სტიპენდიის ოდენობა და პირობები, სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

5. კონკურსს ატარებს და კანდიდატებს აფასებს სადოქტორო სკოლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. საჭიროების შემთხვევაში კომისია ჩანიშნავს დამატებითი გასაუბრება/პროექტის წარდგენა კონკრეტულ პოსტდოქტორანტობის კანდიდატთან/კანდიდატებთან.

6. კომისიის გადაწყვეტილებას სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს. პირის პოსტდოქტორანტად შერჩევის თაობაზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლის საფუძველზეც არჩეულ კანდიდატთან იდება ვადიანი ხელშეკრულება.

მუხლი 3. პოსტდოქტორანტად შერჩევის წინაპირობები/პირობები

1. პოსტდოქტორანტობის უფლება აქვს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თუ შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან გასულია არაუმეტეს 6 წლისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ პირს აქვს ორი ან ორზე მეტი დოქტორის ან/და დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი, ვადის ათვლა დაიწყება იმ დარგში/სპეციალიზაციაში ხარისხის მიღებიდან, რომელი დარგის/სპეციალიზაციის თემასაც ეხმიანება/ფარავს განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი.
3. პოსტდოქტორანტად არ შეიძლება იმ პირის მიღება, ვისაც უკავია აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში აფილირების პირობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი წარმოადგენს წერილობით დასტურს, რომ პოსტდოქტორანტად არჩევის შემთხვევაში დატოვებს აღნიშნულ თანამდებობას ან შეიწყვეტს აფილირებას.
4. პოსტდოქტორანტად მიღებულ პირს არ აქვს უფლება იყოს სხვა უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტი.
5. პოსტდოქტორანტად კონკურსში მონაწილეობის უფლება ეზღუდება პირს, რომლის მიერ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევა უკვე დაფინანსებულია სხვა ორგანიზაციის მიერ და ხორციელდება მის ბაზაზე.
6. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 4. პოსტდოქტორანტობის მაძიებლის განაცხადი

1. პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც მოიცავს კვლევის სახელწოდებას, სტრუქტურას, შინაარსის ძირითადი მიმართულებების, მეთოდოლოგიისა და მეთოდების აღწერას, აქტუალობისა და პრობლემურობის დასაბუთებას, მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმაციას, გამოსაყენებელი ლიტერატურის ჩამონათვალს;

ბ) მენტორის თანხმობა, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია, რომ მენტორი გაეცნო პროექტს, პროექტი მზად არის დასამტკიცებლად და მენტორი თანახმაა ზედამხედველობა გაუწიოს კვლევის პროცესს/კონსულტირება გაუწიოს პოსტდოქტორანტობის კანდიდატს პოსტდოქტორანტად დასაქმების შემთხვევაში;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა) ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში ასევე წარსადგენია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

ვ) უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს, აკადემიური განათლების რომელიმე საფეხური დასრულებული აქვს და შესაბამისი აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს უცხოენოვანი პროგრამის გავლის

საფუძველზე);[1]

ზ) ავტობიოგრაფია (CV);

თ) გამოქვეყნებული შრომების სია;

ი) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;

კ) ცნობა უფლების ჩამორმევის შესახებ;[2]

ლ) სამეცნიერო დარგის/მიმართულების ორი წამყვანი სპეციალისტის მხარდაჭერის წერილი.

მუხლი 5. პოსტდოქტორანტის მენტორი

1. პოსტდოქტორანტის მენტორი შეიძლება იყოს საბაუნის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, აღნიშნული ხარისხის მიღებიდან გასულია მინიმუმ 7 წელი, აქვს კვლევის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება, აქვს გამოქვეყნებები ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბაზებში (Q1-Q2) და აქვს განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

2. პოსტდოქტორანტს უფლება აქვს ჰყავდეს ერთზე მეტი მენტორი იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებობს აღნიშნულის საჭიროება. აღნიშნულ საკითხს წყვეტს სადისერტაციო კომისია პოსტდოქტორანტობის კანდიდატთან შეთანხმებით და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო პოზიციის გაზიარების შემთხვევაში.

3. მენტორის შეცვლა დასაშვებია ობიექტური გარემობის არსებობისას პოსტდოქტორანტის ან მენტორის შუამდგომლობის საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. უნივერსიტეტსა და მენტორად არჩეულ და დამტკიცებულ პირს შორის დაიდება დამატებითი ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუკი მხარეებს შორის უკვე არსებული ხელშეკრულება არ ფარავს აღნიშნულ ურთიერთობას.

მუხლი 6. პოსტდოქტორანტად მუშაობის პირობები

1. პოსტდოქტორანტად მუშაობის ვადაა 6-24 თვე, კონკრეტული ვადა განისაზღვრება კონკურსის გამოცხადებისას.

2. პოსტდოქტორანტი საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლაში, ფაკულტეტსა ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში.

3. პოსტდოქტორანტს შეიძლება სალექციო დატვირთვა მიეცეს, რაც დამოუკიდებლად ანაზღაურდება.

---

[1] სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში უცხო ენაში გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

[2] ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

4. კვლევის ენა შეიძლება იყოს ქართული ან/და ინგლისური.
5. უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტის მიერ განხორციელებული კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში მიღწეულ სამეცნიერო პროდუქტზე საავტორო და მომიჯნავე უფლებები ეკუთვნის უნივერსიტეტს. გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის უნივერსიტეტსა და პოსტდოქტორანტს.
6. პოსტდოქტორანდატ დასაქმების პერიოდში პოსტდოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მცირე შედეგი დამოუკიდებლად ან უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან თანაავტორობით ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბაზებში (Q1-Q2).

მუხლი 7. პოსტდოქტორანტის საქმიანობის შეფასება

1. ყოველკვარტლურად მენტორი აფასებს პოსტდოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოს. არადამაკმაყოფილებელი შესრულების შემთხვევაში მენტორის შუამდგომლობის საფუძველზე სადისერტაციო საბჭო განიხილავს პოსტდოქტორანტთან დადებული ხელშეკრულების გაგრძელების საკითხს პოსტდოქტორანტისა და მისი მენტორის პოზიციების მოსმენის საფუძველზე და იმ შემთხვევაში, თუკი სადისერტაციო საბჭო გონივრულად ჩათვლის პოსტდოქტორანტთან ხელშეკრულების მოშლას, აღნიშნულ საკითხზე შუამდგომლობა წარედგინება რექტორს.
2. პოსტდოქტორანტი ვალდებულია სადოქტორო სკოლის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში წარუდგინოს მის მიერ პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შუალედური ანგარიში.
3. პოსტდოქტორანტი ვალდებულია სადოქტორო სკოლის მოთხოვნიდან არაუგვიანეს საქმიანობის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში წარადგინოს საბოლოო ანგარიში.
4. პოსტდოქტორანტის ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიღწეული შედეგების, კვლევის საბოლოო პროდუქტისა და კვლევის მცირე შედეგის შესაბამის ჟურნალში პოსტდოქტორანტთან გამოქვეყნების შესახებ (ასევე არსებობის შემთხვევაში გამოქვეყნებული ნაშრომების, კონფერენციებში მონაწილეობის, პატენტების, გამოგონებების, მაგისტრებისა და დოქტორანტების კვლევაში ჩართვის შესახებ და სხვ).

მუხლი 8. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ვადის გაგრძელება

1. ობიექტური/ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას ან/და კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუ პოსტდოქტორანტი დასაბუთებული მიზეზით ვერ ასწრებს პროექტის განსაზღვრულ ვადაში დასრულებას, იგი უფლებამოსილია, პროექტის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 თვით ადრე, სადოქტორო სკოლას წარუდგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა პროექტის ვადის გაგრძელების თაობაზე.
2. შუამდგომლობას თან უნდა ერთოდეს პოსტდოქტორანტის მენტორის წერილობითი რეკომენდაცია და კვლევის მიმდინარეობის შუალედური ანგარიში.
3. შუამდგომლობას, მენტორის პოზიციასა და გაწეულ საქმიანობას განიხილავს სადისერტაციო საბჭო (შესაბამისი ფაკულტეტის/სამეცნიერო ერთეულის ჩართულობით) და იღებს გადაწყვეტილებას პროექტის ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ.

4. პროექტის ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, მაქსიმუმ 6 (ექვსი) თვის ვადით.
5. პროექტის ვადის გაგრძელების პერიოდში პოსტდოქტორანტს შეიძლება შეუნარჩუნდეს სტიპენდია.
6. სადოქტორო სკოლის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე, რექტორი გამოსცემს ბრძანებას პოსტდოქტორანტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებისა და პროექტის ახალი განრიგის (გრაფიკის) დამტკიცების შესახებ.

მუხლი 9. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები

1. პოსტდოქტორანტთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის „შინაგანაწესით“, ამ დებულებითა და პოსტდოქტორანტთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
2. პოსტდოქტორანტის მიერ უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებადი პროექტის ან პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევის სხვა სუბიექტის ბაზაზე (სახელით) განხორციელების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა პოსტდოქტორანტთან და მოითხოვოს პროექტის შედეგად მიღწეულ სამეცნიერო პროდუქტზე საავტორო უფლებების გავრცელება და ზიანის ანაზღაურება.
3. პოსტდოქტორანტის მიერ პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა პოსტდოქტორანტთან.